პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 306 (10082)

კვირა, 26 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის კომიტეტში. — **საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა კუბელ პოეტს ნიკოლას გილიენს** (1-ლი გვერდი).

კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა (1-ლი გვერდი).

საკდესის განცხადება (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა (მე-2 გვერდი).

**ნ. ჩახვაშვილი.** — ბაქოს მუშების ისტორიულ გაფიცვას 50 წლისთავი (მე-2 გვერდი).

კომკავშირის თბილისის საქალაქო [illegible] (მე-2 გვერდი).

წერილები დაღისტნიდან. [illegible] (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — **ი. მენთეშაშვილი.** — კარგი დამხმარე სახელმძღვანელო (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა გადაუდებელი ამოცანა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, ოქტომბერ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის მთლიანად გამოიყენონ არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, დარაზმონ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ამ მითითებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. უკანასკნელ ხანებში მეჩაიეობის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად გადიდდა ჩაის პლანტაციების ფართობები და მოსავლიანობა.

მაგრამ მეჩაიეობის რაიონებმა ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა გასწიონ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ის დონე, რომელიც პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების დარგში. აქ ამოცანის წარმატებით შესრულებას ახლა, ზამთარში ეყრება საფუძველი. აჭარის ასს რესპუბლიკის, მახარაძის, ტყიბულის, ჭათურის, გეგეჭკორის, წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგად გამოიყენეს შემოდგომის ხელსაყრელი პირობები და შეასრულეს ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმები.

ამასთან ერთად ცოტა როდია ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ არსებობს თვითდამშვიდება ჩაის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში, რამაც გამოიწვია ჩაის საზამთრო სამუშაოთა სერიოზული ჩამორჩენა. სწორედ ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.850 ჰექტარის ნაცვლად ჩაი გაშენებულია 2.000 ჰექტარზე. ჩაის გაშენების დავალება ძირითადად ნოემბერსა და დეკემბერში უნდა შესრულებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი ამინდები. შემოდგომაზე გაშენდა მხოლოდ 654 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

ამ სამუშაოს შესრულებას დიდად უშლის ხელს აგრეთვე ჩამორჩენა ჩაის თესლის დამზადებაში. გეგმით გათვალისწინებული 870 ტონის ნაცვლად დამზადებულია 400 ტონამდე თესლი. ზუგდიდის რაიონში 50 ტონიდან დაამზადეს 24 ტონა, წალენჯიხის რაიონში — 34 ტონიდან 16 ტონა. ჩაის გაშენებისა და სხვა სახის სამუშაოები ჩამორჩა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქ მხრივ არც ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ქუთაისის, ვანის, ზესტაფონის რაიონებშია.

როგორც ჩანს, ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების ცალკეული მუშაკები სათანადოდ არ ითვალისწინებენ იმას, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ნიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებას.

აღნიშნული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად არ იღებენ ქმედით ღონისძიებებს. მართალია, მათ ამ საკითხებზე გაჩაოქვთ დადგენილებანი, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გზავნიან დირექტივებს, მაგრამ საქმეს ეს არ შველის.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების დროულად და დადგენილი დოზებით შეტანას. ზამთრის პერიოდში ჩაის პლანტაციებში უნდა შეეტანოთ ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქები. მაგრამ ბევრგან ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შეუფასებლობას იჩენენ. ამის შედეგია ის, რომ ფოსფორიანი და კალიუმის სასუქების შეტანის დავალება რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 24 პროცენტით. საქსოფლმომარაგების საწყობებში დაგროვებული სასუქები კოლმეურნეობებს არ გააქვთ. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს გასატანი აქვთ 1.900 ტონა, წალენჯიხის რაიონს — 800 ტონა, გეგეჭკორის რაიონს — 600 ტონა, ქუთაისის რაიონს — 900 ტონა.

ასეთი მდგომარეობა თუ გაგრძელდა, სათანადო ორგანოების მითითებით ამ რაიონებს შეუწყდებათ სასუქების მიწოდება და ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ. საჭიროა, სანამ გვიან არ არის, მათ აქედან სათანადო დასკვნა გააკეთონ და სასწრაფო ზომები მიიღონ სასუქების გასატანად.

აუცილებელია ამ გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებასთან ერთად ყურადღება გავაჩაჩვილოთ ჩაის პლანტაციების რემონტის და აღდგენის გეგმების შესრულებაზე, წესრიგზე მოვიყვანოთ ამჟამად არსებული და დამატებით გავიყვანოთ ახალი სადრენაჟო ქსელი, რათა თავიდან ავიცილოთ წყლის დაგუბება ჩაის პლანტაციებში.

დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ზამთარში ციტრუსოვანთა მეურნეობაში. ხელსაყრელი ამინდის დროს ციტრუსოვანთა ბაღებში უნდა ვაწარმოოთ ფუმიგაცია, ზეთოვანი ემულსიით წაღლობა, ნიადაგის მომზადება ახალი პლანტაციის გასაშენებლად, ტყე-ბუჩქნარის ამოძირკვა, ტერასების მოწყობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსოვანთა ნარგავების დაცვას ზამთრის ყინვებისაგან. ამიტომ საჭიროა სისტემატურად ვამოწმებდეთ შეფუთვის ხარისხს, ყოველი ბუჩქის მდგომარეობას, უნდა უზრუნველვყოთ ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრება.

კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. მათ გონივრულად უნდა გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლითაც მტს-ები აღჭურვა საბჭოთა სახელმწიფომ. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად იზრუნონ მტს-ებისათვის, გადაჭრით გააძლიერონ მათი როლი და პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა საეკონომო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში.

პარტიამ და მთავრობამ პასუხსაგები ამოცანები დაუსახეს სუბტროპიკული რაიონების მშრომელებს. ისინი მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გაადიდონ ჩაისა და ციტრუსოვანთა მოსავლიანობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა ეკონომიკების სამინისტროები ვალდებული არიან კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საზამთრო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. უნდა გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, სასტიკად ვებრძოლოთ თვითდამშვიდების ყოველ გამოვლინებას, სწრაფად გამოვასწოროთ ჩაეორჩენა საზამთრო სამუშაოებში, აქედანვე შევქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ მომავალ წელს მივიღოთ ჩაისა და ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

## საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა კუბელ პოეტს ნიკოლას გილიენს

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი **ნიკოლას გილიენი** (კუბა). საკდესის ფოტოქრონიკა.

...კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. 24 დეკემბერს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის დილის სხდომის დამთავრების შემდეგ აქ საზეიმო ვითარებაში გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია გამოჩენილ კუბელ პოეტს და მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლს **ნიკოლას გილიენს.**

ცერემონიის გახსნისას კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ხაზგასმით აღნიშნა იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ პოეტისათვის პრემიის გადაცემა ხდება ყრილობის მუშაობის დღეებში, საბჭოთა მწერლების ძმურ ოჯახში, რომლებმაც მთელ მსოფლიოში მოიპოვეს აღიარება, როგორც კულტურის ოსტატთა მოწინავე რაზმმა, რომელიც ხალხთან ერთად იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. ყრილობის დელეგატები გულთბილად მიესალმნენ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ნიკოლას გილიენს და პრეზიდიუმში მყოფ კომიტეტის წევრებს ლეო არაგონს, ანა ზეგერსს, პაბლო ნერუდას, მიხაილ სადოვიანუს, ა. ა. ფადეევს, ი. გ. ერენბურგს.

რუსულ და ესპანურ ენებზე გამოქვეყნდა კომიტეტის ამა წლის 18 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც პოეტს პრემია მიენიჭა. დარბაზში გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში, როცა აკადემიკოსმა სკობელცინმა ოქროს მედალი და ლაურეატის დიპლომი გადასცა ნიკოლას გილიენს. მან კომიტეტის სახელით მიულოცა ჯილდო ლაურეატს — შესანიშნავ პოეტსა და პუბლიცისტს, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის უშიშარ მებრძოლს.

სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ს. ტიხონოვმა.** საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა სახელით იგი გულთბილად მიესალმა ლაურეატს და მისი სახით კუბელ ხალხს, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობაში.

ლათინური ამერიკის უბრალო ადამიანების მგოსანზე, მამაც მებრძოლ ნიკოლას გილიენზე ილაპარაკა ბრაზილელმა მწერალმა **ჟორჟი ამადუმ.** „ჩვენი ლათინური ამერიკის ხალხები, — ამბობს იგი, — სასტიკი ბრძოლის პერიოდს განიცდიან, როცა ამერიკელი ომის გამჩაღებლები აძლიერებენ ჩვენი ქვეყნების ჩაგვრას, როცა სახელმწიფო გადატრიალებანი და ახალი სისხლიანი დიქტატურები მრავლდებიან ისე სწრაფად, როგორც შხამიანი სოკო. შიმშილიც, თავისუფლების წყურვილიც მატულობს ჩვენს ქვეყნებში, სადაც დოლარის ადამიანები დღითიდღე სულ უფრო სასტიკად გვიზღუდავენ პურსა და ადამიანის უფლებებს. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერდება მშვიდობისადმი სიყვარულის გრძნობა, უცხოელი მჩაგვრელისადმი სიძულვილის გრძნობა და იმის შეგნება, რომ საჭიროა ბრძოლა მშვიდობის დასაცავად.

გილიენის პოეზია უმღერის ამ სასტიკ ბრძოლას, ამ სისხლისღვრას და ამ ოცნებას, რაც ჩვენი დროშა გახდა მთელ კონტინენტზე. სოლიდარობის ისეთივე გრძნობით, როგორითაც პოეტი კუბაზე ლაპარაკობს, იგი იმაღლებს ბრალდებისა და სიყვარულის ხმას, რათა დაგვიხატოს ბრაზილიისა და ჩილის, გვატემალისა და ვენესუელის, კოლუმბიისა და პორტო-რიკოს, ჰაიტისა და პანამის ხალხთა ტანჯვა და ნება“.

საბჭოთა მწერლების სახელით ლაურეატს მიესალმა **ი. გ. ერენბურგი.** მან ილაპარაკა გილიენის პოეზიაზე, რომელსაც კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი.

გულთბილი სიტყვა წარმოთქვა **პაბლო ნერუდამ.** მან თქვა: „გილიენი მშვიდობის დიდი მქადაგებელია. ცხელი ატლანტიკის ოკეანის ვერაკრუსიდან ცივი წყნარი ოკეანის ვალპარაისომდე მოდის იგი და მასთან ერთად მოდის მისი პოეზია, რომელიც სიხარულით აგვირგვინებს ხალხთა ბრძოლას. და როგორც მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანთა შეგნებაში სიტყვები მშვიდობა და სტალინი ერთად არის შერწყმული, ისე ახლა ეს სიტყვები შეერთდნენ ხალხის ამ პოეტის მკერდზე“.

ტრიბუნაზეა ჩინელი მწერალი ქალი **დინ ლინი.** იგი მიმართავს გილიენს და ამბობს: „ჩინელ ხალხს უყვარს თავისი სამშობლო, იგი ძალიან კარგად იცნობს სხვის მორჩილებაში ყოფნის სიმწარესა და ბრძოლას. ჩვენ ვიცით, თუ რა მძიმე გზა უნდა გავიაროთ, რათა გამარჯვებას მივაღწიოთ, და ძალიან კარგად ვიცით, თუ როგორ მოვუაროთ დღეს მოპოვებულ თავისუფლებას. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ადამიანები და როგორ უნდა გვიყვარდეს მწუხარებაში მყოფი ხალხი. ამიტომ ჩვენ გვესმის შენი გულისნადები, გილიენ. ჩინეთში შენ უცხოელი უცნობი კი არა ხარ, არამედ ხარ ადამიანი, რომელსაც მრავალი ახლო მეგობარი ჰყავს“.

უცხოეთის კულტურის წარმომადგენელთა გამოსვლებისას ხშირად გაისმოდა დამსწრეთა მქუხარე ტაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა **ნიკოლას გილიენმა.** (საკდესი).

## სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა

24 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მესამე ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 400-მდე დელეგატი. სხდომის დარბაზში მრავალი სტუმარია. მათ შორის არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებათა ხელმძღვანელი მუშაკები. მოსკოვს გამოემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელი.

ყრილობის მონაწილეებმა სპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი. ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი და ნ. ს. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ა. მიტერევმა.

მეორე ყრილობიდან მესამემდე განვლილ საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა, — საბჭოთა წითელმა ჯვარმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. საზოგადოების წევრთა რიცხვი თითქმის ორი მილიონით გადიდდა და ახლა 17-ნახევარ მილიონს შეადგენს.

მომხსენებელმა გააუქმა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის საერთაშორისო მოღვაწეობის საკითხები.

— საბჭოთა წითელი ჯვარი, — განაცხადა გ. ა. მიტერევმა, — საბჭოთა მთავრობის ნათელი და გასაგები მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის სრული შესაბამისობით განაგრძობს მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცებას და გაფართოებას უცხო ქვეყნების წითელი ჯვრის საზოგადოებებთან წითელი ჯვრის ჰუმანური პრინციპების საფუძველზე. მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის საფუძველზე.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ ყრილობაზე დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. პანჩენკომ, მოსკოვის წითელი ჯვრის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ფ. დვორნიჩენკომ, თურქმენეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ს. პოპოვამ, აზერბაიჯანის სსრ წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ხ. ა. სადიხოვამ და სხვებმა.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წითელი ჯვრის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ციუი ი-ტაანმა, აგრეთვე პოლონეთის წითელი ჯვრის დელეგაციის ხელმძღვანელმა დოქტორმა იან რუტკევიჩმა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

## კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

საქართველოს სს რესპუბლიკაში გრძელდება კანდიდატების დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან მწერალი **გ. ნ. ლეონიძე.**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტების კრებაზე განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების შესახებ. ერთსულოვნად მიღებულია გადაწყვეტილება კანდიდატად დაასახელონ უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **თ. ნ. მრევლიშვილი.**

მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ამხ. **ნ. შ. ბერძენიშვილი.**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი და სამუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია ქ. სტალინირის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი ამხ. **ა. ნ. პლიევი.**

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **მ. შ. გოგიტიძე.**

მარნეულის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **დ. ბ. მამედოვი.**

გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვის კოლმეურნეებმა განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი. მიღებულია გადაწყვეტილება დაასახელონ კოლმეურნეობის მერგოლური ამხ. **შ. ს. ენიკი.**

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. **დ. ა. ივაშჩენკო.**

(საკდესი).

## ნლიური გეგმების შესრულება

### ერთი თვით ადრე

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურმა საწარმოებმა და საქალაქო და რაიონულმა სამრეწველო კომბინატებმა მიმდინარე 1954 წლის საწარმოო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში შეასრულეს ერთი თვით ადრე.

1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს 11 თვეში ამ საწარმოებმა პროდუქციის გამოშვება გაადიდეს 20,6 პროცენტით.

### აჭარის სამრეწველო საწარმოების მაღალი მაჩვენებლები

ბათუმი. (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ.). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებთან, ნაყოფიერად იმუშავეს და შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოაპოვეს სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი, ლუდის, ტყავის, მომთუთიებელი ქარხნების, თევზისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

### მოწინავეთა რიგებში

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა 1954 წლის საწარმოო გეგმა ვადამდე შეასრულა. წლის განმავლობაში ფაბრიკაში გაწეულია 6,1 ტონა თამბაქოს, 13,3 ათასი კვადრატული მეტრი საჰილზე ქაღალდის, 1,1 ტონე მუყაოს ეკონომია და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 309.000 მანეთი დაგროვება.

ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად პროდუქციას იძლევა 1955 წლის იანვრის ანგარიშში.

### ხისდამუშავებელთა მილწევა

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა უკვე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 10.000 მანეთის პროდუქცია.

### ჭიათურელ მაღაროელთა გამარჯვება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა. მარგანეცის გამოშვება მარშანდელთან შედარებით გადიდდა 6,1 პროცენტით. მაღაროელებმა იკისრეს ახალი წლისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ბრაგალი მილიონი მანეთის პროდუქცია.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის კომიტეტში

### აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს და აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

ბაქო, 21 დეკემბერი. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობის შესახებ.

არჩევნები დანიშნულია კვირას — 1955 წლის 6 მარტს.

### ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს და აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

რიგა, 21 დეკემბერი. (საკდესი). ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობის შესახებ. არჩევნები დანიშნულია კვირას — 1955 წლის 27 თებერვალს.

### ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს და აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

ტალინი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობის შესახებ.

არჩევნები დანიშნულია კვირას — 1955 წლის 27 თებერვალს.

### თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს და აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

აშხაბადი, 21 დეკემბერი. (საკდესი). თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობის შესახებ.

არჩევნები დანიშნულია კვირას — 1955 წლის 27 თებერვალს.

### გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის დამზადების 1954 წლის სახელმწიფო გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულეს. ჩაბარებულია 2.597 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.588 ტონისა, რაც 1.179 ტონით მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო ჩაბარებული.

ბოსტნეულის ჩაბარება გრძელდება.

### რესპუბლიკის მტს-ებში

**ბადიაურის მტს-მა** წლიური საწარმოო დავალება 104 პროცენტით გაანაღდა. მონნულია რბილი ხვნაზე გადაყვანით 45.110 ჰექტარი ნაცვლად 43.444 ჰექტარისა. აქედან მზრალად მოხნულია 2.923 ჰექტარი, გეგმა კი 2.850 ჰექტარს ითვალისწინებდა.

წლიური დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ვ. ჭანიაშვილი, ს. ოგანეზოვი, შ. ალუღმშვილი და ა. მღებრიშვილი.

* * *

**თელავის მტს-მა** წლიური დავალება 117,5 პროცენტით შეასრულა. მოხნულია 48.440 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.200 ჰექტარისა. წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს პირველმა, მეხუთე, მეშვიდე, მერვე, მეათე და მეთორმეტე სატრაქტორო ბრიგადებმა.

მზრალად მოხნულია 1.853 ჰექტარი ნაცვლად 1.810 ჰექტარისა. მზრალად ხვნა გრძელდება.

* * *

**წითლის მტს-მა** ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა 24 დეკემბრისათვის 108 პროცენტით შეასრულა. შეკეთებულია 52 ტრაქტორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48 ტრაქტორისა.

# საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ყრილობის 22 დეკემბრის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **ა. ტოკომბაევი.**

სიტყვა მოხსენებისათვის „მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა“ ეძლევა **ნ. ს. ტიხონოვს.**

პროგრესული ლიტერატურა, ამბობს იგი, ხალხთა ცხოვრებაში არა მარტო შუქურაა, რომელიც მომავლის გზას უნათებს მათ, არამედ მძლავრი მაორგანიზებელი ძალაც არის. პროგრესული ლიტერატურის კავშირი ხალხთა მასებთან სულ უფრო მძლავრი და გავლენიანი ხდება, მისი მონაწილეობა ხალხთა მშვიდობისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში სულ უფრო საგრძნობი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ის მწერლებიც კი, განაგრძობს მომხსენებელი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ განზე ედგნენ ყოველგვარ პროგრესულ მოღვაწეობას, პასიურად ადევნებდნენ თვალყურს იმას, რაც მსოფლიოში ხდება, ახლა შედიან პროგრესული ლიტერატურის ფრონტის რიგებში, რადგან თვით ცხოვრება უჩვენებს მათ ისეთ სურათებს, რომლებსაც გულგრილად ვერ შეხედავს მწერალი, რომელიც გრძნობს თავის პასუხისმგებლობას ყოველივე იმის წინაშე, რაც ხდება.

**ნ. ს. ტიხონოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრესულ ლიტერატურაში არის მრავალი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებმაც ხალხის უაღრესად ფართო აღიარება მოიპოვეს.

მოწინავე მწერლების დიდი და მრავალფეროვანი რაზმი გაიზარდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ რაზმში არიან მხატვრული სიტყვის ოსტატები მიხაილ სადოვიანუ, ლეონ კრუჩკოვსკი, მარია მაიეროვა, მარია პუიმანოვა, ვიტეზსლავ ნეზვალი, ფრანია კრალი, იულიან ტუვიმი, იაროსლავ ივაშკევიჩი, ვლადისლავ ბრონევსკი, პეტერ ვერეში, დიულა იეშმი, გიორგი კარასლავოვი, ლიუდმილ სტოიანოვი, ელისაბედ ბაგრიანა, სტოიან ზაგორჩინოვი, ხრისტო რადევსკი და სხვები.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატორები თავიანთ ნაწარმოებებს უძღვნიან თანამედროვე სინამდვილეს, ცდილობენ რა შექმნან მოწინავე მუშის სრულყოფილი სახე, გამოხატონ განთავისუფლებული ხალხის უდიდესი გმირული შრომა, გარდაქმნილი სოფლის ყოფაცხოვრება, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, მასების პოლიტიკური შეგნების ზრდა. ილაპარაკა რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიტერატურის განვითარებაზე, მომხსენებელმა დასახელა გამოჩენილი მწერლები მაო დუნი, გო მო-ჟო, დინ ლინი, ემი სიაო, აი ცინი და სხვები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედება მიუძღვნეს ჩინელი ხალხის განთავისუფლების დიად საქმეს.

მომხსენებელი ლაპარაკობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ლიტერატურის შესახებ. დემოკრატიული ბანაკის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ გერმანიის პროგრესულ მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში გამოხატავენ გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობის იდეებს, იცავენ ხალხთა მეგობრობას და ურთიერთგაგებას. ასეთი მწერლები არიან ა. ზეგერსი, ბ. კელერმანი, ა. ცვაიგი, ვ. ბრედელი, ფ. ვოლფი, ბ. ბრეხტი, ი. ბეხერი, ე. ვაინერტი, კუბა და სხვ.

დიდ წარმატებებს მიაღწია მშვიდობისმოყვარე ინდოელი ხალხის ლიტერატურამ. ცნობილია ნაწარმოებნი მულკ რაჯ ანანდის, კრიშან ჩანდრას, აჰმედ აბასის, ალი სარდარ ჯაფრის, ბხაბანი ბხატაჩარიას, ვალატხოლის, ფაიზ აჰმედ ფაიზისა და სხვა მწერლებისა და პოეტებისა, რომლებიც ცხოვრობენ ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიაზე და რომელთა შემოქმედება ვითარდებოდა ინდოეთის ისეთი გამოჩენილი მწერლების ზეგავლენით, როგორიც არიან რაბინდრანატ თაგორი, პრემ ჩანდი.

უკანასკნელი წლების მანძილზე დიდ შედეგებს მიაღწიეს თავიანთ შემოქმედებითს მოღვაწეობაში კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულმა მწერლებმა. მათ შორის არიან ანდრე სტილი, ჰალდორ ლაჯსნესი, ჰოვარდ ფასტი, ჯეიმს ოლდრიჯი, პოლ ელუარი, ნაზიმ ჰიქმეთი, პაბლო ნერუდა, კატარინა სუსანა პრიჩარდი, ნიკოლას გილიენი, ჟორჟი ამადუ და სხვები. მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თემამ მდიდარი გამოხატულება ჰპოვა ფრანგი მწერლების წიგნებში. ამ იდეას ფრანგი მწერლები იცავენ როგორც თავიანთ შემოქმედებაში, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ვერკორი, არაგონი, სარტრი — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები არიან, ხოლო ლაფიტი მისი გენერალური მდივანია. კლოდ მორგანი რედაქტორია ჟურნალისა „მშვიდობის დასაცავად“.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი დიდი პროგრესული ლიტერატურა არსებობს ამერიკაში, ინგლისში, იტალიაში, ავსტრალიაში, კანადაში, ისლანდიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

**ნ. ს. ტიხონოვმა** დაახასიათა იაპონიის, ირანის, თურქეთის მოწინავე მწერლების შემოქმედება, რომლებიც, დევნის მიუხედავად, გმირული შეუპოვრობით ქმნიან პროგრესულ ლიტერატურას.

შემდეგ **ნ. ს. ტიხონოვმა** ილაპარაკა მთელი მსოფლიოს პროგრესული მწერლების ფართო ურთიერთობაზე. ეს მეგობრობა გამოიხრამდა საერთო განსაცდელის ცეცხლში მეორე მსოფლიო ომის დროს, შემოწმებულ იქნა ბევრჯერ, როცა საბჭოთა მწერლებსა და სხვა ქვეყნების პროგრესულ მწერლებს უხდებოდათ ერთად გამოსულიყვნენ ახალი მსოფლიო ომის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. უკანასკნელი წლების მანძილზე ეს ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

— კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჩვენი ყრილობისადმი, — განაცხადა დასასრულ ამბ. ტიხონოვმა, — მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მწერლებს ხელი შეუწყონ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომ შემტვიდროებას, მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ძმური სოლიდარობის გრძნობის დანერგვას.

საბჭოთა მწერლებს შეუძლიათ უფრო მეტად გამოიყენონ და კიდეც უნდა გამოიყენონ საზღვარგარეთელი მეგობრების ძვირფასი გამოცდილება მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის ბრძოლაში, უნდა შეისწავლონ უცხოეთის პროგრესული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი, ისწავლონ მათგან მაღალი ოსტატობა თავიანთი შემოქმედებითი ხერხების გაუმჯობესებისათვის, რადგან ჩვენი ლიტერატურების ურთიერთგამდიდრება ხელს უწყობს მოწინავე პროგრესული ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა ლიტერატურისა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის პროგრესული ლიტერატურის კავშირი ნამდვილი კავშირია ჰუმანიზმის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

ჩვენ ერთად მივდიოდით, ჩვენ ერთად მივდივართ, განუწყვეტლივ ვაფართოებთ რა ჩვენს რიგებს, და ერთად მივალთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალების საბოლოო გამარჯვებამდე!

**ნ. ს. ტიხონოვის** მოხსენების შემდეგ გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა და თანამოხსენებათა გამო. გამოვიდნენ აკადემიკოსი **ა. ვ. ტოჩჩიევი** და ქართველი პოეტი **გ. ლეონიძე.** საბჭოთა ლიტერატორებს მეგობრული მისალმების სიტყვებით მიმართეს ჩილის პოეტმა, მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატმა **პ. ნერუდამ** და ალბანელმა მწერალმა **დიმიტრ შუტერიჩიმ,** რომლებსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

23 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებათა და თანამოხსენებათა განხილვა. თავმჯდომარე **ა. კახარი** პირველ სიტყვას აძლევს **ვ. კოჩეტოვს** (ლენინგრადი).

ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანს სულიერი სამყაროს სიმდიდრე მწერალთა წინაშე სახავს ისეთ შემოქმედებით შესაძლებლობებს, რომლებზეც ჩვენს კლასიკოსებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ზოგიერთი მწერალი კი გვერდს უვლის იმ ახალს, რაც საბჭოთა სინამდვილემ წარმოშვა. შემდეგ იგი აკრიტიკებს ი. ერენბურგის მოთხრობა „ლედას“. დასასრულ ვ. კოჩეტოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალთა ვალია შექმნან ჩვენი თანამედროვის სახე მთელი მისი დიდებული სილამაზით, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას უპასუხონ ახალი კარგი, მართალი წიგნებით.

დაღისტნელი პოეტი **რ. გამზატოვი** თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ საჭიროა პოეზია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ხალხს, რათა იგი უფრო სრულად და სამართლით ასახავდეს მის სანუკვარ ფიქრებსა და გრძნობებს. ორატორი ამბობს, რომ პოეტებ ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ნაწარმოებთა ფორმაზე მუშაობას, ასუსტებენ მომთხოვნელობას თავის თავისა და ერთმანეთისადმი. მოძმე რესპუბლიკების პოეტებს, განაცხადა მან, ესაჭიროებათ არა ყალბი შექება, არამედ მათი ნაწარმოებების სერიოზული გარჩევა, სერიოზული სწავლება.

**მარიეტა შაგინიანი** ამბობს, რომ ლიტერატურული კრიტიკა ჩამორჩება ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა ლიტერატურის განვითარება სახავს. კრიტიკა, ამბობს იგი, შემოქმედებითად უნდა მონაწილეობდეს ჩვენი ლიტერატურის სახეთა ეპოქალურ გამოვლინებასა და ისტორიულ ქმნადობაში. მაგრამ ჩვენში არ ყოფილა არც ერთი მკაფიო, დასაბახსოვრებელი კრიტიკული წერილი, სადაც ლიტერატურული სახე ყოფილიყო გამოვლინებული, გამდარიყო საზოგადო, როგორც დიდი რუსი კრიტიკოსების მეოხებით საზოგადო გახდა, მაგალითად, ობლომოვის, პეჩორინის, ბაზაროვის სახეები.

მარიეტა შაგინიანი ხაზგასმით აღნიშნავს მხატვრული ნარკვევის დიდ როლს საბჭოთა ლიტერატურაში.

მწერალმა **ნ. ბალდანმა** დაახასიათა ბურიატ-მონღოლეთის ლიტერატურის განვითარება. 20 წლის მანძილზე რესპუბლიკაში გამოვიდა ბევრი წიგნი, რომლებმაც მკითხველთა ფართო აღიარება მოიპოვეს. ასეთია წიგნები საბჭოთა ადამიანების შემოქმედებთ შრომაზე, სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებაზე, ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე, კომუნისტურ პარტიაზე, რომელმაც წარსულში ჩაგრული ბურიატ-მონღოლი ხალხი ბედნიერი ცხოვრებისათვის დარაზმა.

დასასრულ **ნ. ბალდანო** ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა მწერლების კავშირმა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივი მწერლების ორგანიზაციებისა და გამომცემლობების მუშაობას.

**ლ. სობოლევმა** თავის სიტყვაში მთავარი ყურადღება მიაქცია საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობა მუშაობის სტილს, რომელიც, როგორც მან თქვა, თავისუფალი არ არის ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან და ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი ზედიადმი გულგრილობისაგან.

ნამდვილმა კრიტიკამ, თქვა **ვ. ვ. ერმილოვმა,** უნდა შეამჩნიოს ნაკლოვანებანი, იხელმძღვანელოს ლიტერატურისადმი დიდი სიყვარულის გრძნობით, მისი იდეიური და მხატვრული ზრდისათვის ზრუნვით. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი კრიტიკოსები, რომელთა სტატიებში გამოსჭვივის არა მისწრაფება ნაწარმოების ნაკლოვანებათა აღმოფხვრისადმი, არამედ მტრობა წიგნის ავტორისადმი. ასე ჩამოყალიბდა კრიტიკოს — „დამშუშავებლის“ ტიპი. ჩვენი კრიტიკის მეორე სუსტი მხარეა წამყვანი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში ზოგიერთი მიუტევებელი სისუსტისათვის დუმილით გვერდის ავლა. კრიტიკა ნაკლებად ებრძვის „ემოციურ უმეცრებას“, რომლის წინააღმდეგაც გვაფრთხილებდა ჯერ კიდევ გორკი, „პიროვნების კულტის“ დაგმობილი ტენდენციების გამოძახილს, რომელიც ამცირებს ცალკეული წიგნების მხატვრულ ღირებულებას. დროა, ამბობს ორატორი, ზოგადი აბსტრაქტული მსჯელობა შეიცვალოს ნაწარმოებთა კონკრეტული ლიტერატურული ანალიზით.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის კომისიის ცნობა საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების ცვლილებათა შესახებ გამოაქვეყნა **ლ. ლეონოვმა.**

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ **პეტერ ვერეში** (უნგრეთი), **ხრისტო რადევსკი** (ბულგარეთი), **ჯეკ ლინდსეი** (ინგლისი) და **ლი გი ენი** (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა).

(საკადესი).

# ლაპარაკობს რობსონი

*მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ხელისუფლებმა უარი უთხრეს ზანგ მომღერალს პოლ რობსონს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გასასვლელი ვიზის მიცემაზე, აფსკზე ჩაწერილი მისი სიტყვა მქუხარედ გაისმა საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე.*

(გაზეთებიდან).

**მშვიდობისათვის მეომარი და ენამჭევრი,**
**ამერიკიდან გვესალმება გმირი რობსონი,**
**თითქოს მაღლდება სვეტებიან დარბაზის ჭერი...**
**გულში ანთია მეგობრობის დიდი კოცონი.**

**— ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სალამი წრფელი,**
**მიგულეთ თქვენთან, ვით მებრძოლი და ახლობელი.**
**გაისმა სიტყვა, სივრცეებს რომ ჭუხილით ჩკვეთდა,**
**და ბობოკრობდა გრძნობათა და აზრთა მფლობელი.**

**გადმოულახავს ზღვის ტალღები, სუსხი, ქარყინვა,**
**მოსულა ჩვენთან მტერთან მუდამ შეურიგალი.**
**მშვიდობისათვის! — ხალხის გულში ეს სიტყვა ბრწყინავს,**
**— მშვიდობისათვის! — ჰქუხს რობსონი, როგორც გრიგალი.**

**დამთავრდა სიტყვა... ფეხზე დადგა დარბაზი მთელი.**
**— დიდება რობსონს! — აღარ წყდება ტაშის გრიალი...**
**დე, მშვიდობის მტრუდს კვლავ მოჰქონდეს ხალამი წრფელი, —**
**შენი ხმა მკვეთრი, — ჩვენი ჰანგის თანაზიარი!..**

**კ. ბოგბოზიძე.**

# საკადესის განცხადება

*[illegible]*

იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 24 დეკემბერს უარყო წინადადება, რომლის თანახმად საფრანგეთის პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა დაემტკიცებინა პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი გაძლიერებულ ზეგავლენას ახდენენ საფრანგეთზე. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და ინგლისის მთავრობამ გააკეთეს განცხადებანი, რომ ისინი ეცდებიან მიაღწიონ იმას, რომ გადაისინჯოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ. ყოველივე ამას თან ახლავს მუქარა, რომ აღადგენენ გერმანიის ვერმახტს ისე, რომ ანგარიშს არ გაუწევენ საფრანგეთს.

საბჭოთა ხელმძღვანელ წრეებში აღნიშნულ განცხადებებსა და მუქარას განიხილავენ როგორც უხეშ ზემოქმედებას, რომელსაც გარედან ახდენენ საფრანგეთის პარლამენტსა და საფრანგეთის მთავრობაზე, რათა მიაღწიონ იმას, რომ საფრანგეთმა დაამტკიცოს პარიზის შეთანხმებანი. ეს წრეები საფრანგეთის ეროვნულ კრებაში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის [illegible] — [illegible] ინიციატივა [illegible] ბალხი ანგარიშს აძლევს თავის თავს, თუ რა სერიოზული შედეგები მოსდევს საფრანგეთის ეროვნული უშიშროებისათვის მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში, რასაც პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებს. ასევე [illegible] მტკიცებათა მიუხედავად, საფრანგეთში იზრდება იმის გაგება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ხელს შეუშლის მოლაპარაკებას გერმანიის საკითხის მოწესრიგების შესახებ და უაზროს გახდის ასეთ მოლაპარაკებას.

საფრანგეთის უშიშროება განუყოფელია მთელი ევროპის უშიშროებისაგან. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება, რასაც ადასტურებს ისტორიის გამოცდილება, ფასდაუდებელი წვლილი იქნებოდა სრულიად ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და ახალი ომის თავიდან აცილების საქმეში.

## საყურადღებო „წვრილმანი“

# პროსპექტის „გმირები“

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც „მეგობრები“ რუსთაველის პროსპექტზე მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ მელოდიას კინოსურათ „ავარადან“...

ერთ-ერთს სულმა წასძლია, ვიღაც მოქალაქეს მუჯლუგუნი წაკრა.

— რას მიყურებ, გეწყინა? — დამცინავად ჰკითხა მოქალაქეს.

— განა საეჭვოა?!

— გაიარე, თუ კიდევ არ გინდა მიიღო.

აღშფოთებულმა მოქალაქემ ამჯობინა გასცლოდა მოხულიგნო ახალგაზრდებს.

ძმაბიჭების ჯგუფი საღამოს 5 საათზე რესტორან „თბილისს“ ესტუმრა. ექვს საათს ესხდნენ გაშლილ მაგიდას. რა არა თქვეს, რა არ იოხუნჯეს...

გვიან ღამით კვლავ რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ, აყალმაყალი ატეხეს.

თეორიული ლექცია გათავდა, პრაქტიკულიდა დაგვრჩა შესასრულებელი, — თქვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა კომკავშირელმა გ. ფულარიამ და განუყრელ მეგობარს სტუდენტ გ. პაპუაშვილს ჯერ სილა სტკიცა, შემდეგ ძირს დასცა...

როგორც იქნა, მიწყნარდა პროსპექტი. მაგრამ არ გასულა სამი საათი, რომ ძმაბიჭების მეორე ჯგუფმა კვლავ ატეხა დებოში. სტუდენტმა კომკავშირელმა ა. ქავთარაშვილმა თავისი ამხანაგი კომკავშირელი ე. ანდღულაძე ისე მაგრად დაეცემა, რომ სულ სისხლი ადინა.

ეს ახალგაზრდები უქნარობაში, ლაზღანდარობაში კარგავენ ძვირფას დროს.

ფაქტები მოწმობენ, რომ უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ხელმძღვანელი, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველა სტუდენტისადმი არ იჩენენ მტკიცე მომთხოვნელობას, ნაკლებია კონტროლი და დახმარება.

ერთი რამ ცხადია: მარტო ლექციების კითხვით ახალგაზრდა არ აღიზრდება!

**ა. სხვაველი.**

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „სერიოზული ნაკლოვანებანი ახმეტის მგს-ში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 23 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მხილებული იყო ახმეტის რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვასა და ტრაქტორების შეკეთებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

როგორც პარტიის ახმეტის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. მტს-ის დირექტორს ამხ. მ. ცქიფურიშვილს გამოეცხადა საყვედური, ბიურომ დასახა ღონისძიებანი მტს-ის მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

# ბაქოს მუშების ისტორიული გაფიცვის 50 წლისთავი

26 დეკემბერს სრულდება ბაქოს მუშების 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვის 50 წლისთავი. ეს გაფიცვა იყო „...ჭექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ“. იგი გადაიქცა ამიერკავკასიისა და რუსეთის მთელ რიგ რაიონებში რევოლუციური აღმავლობის დასაწყისად.

ბაქოს პროლეტარიატის ეს ისტორიული გაფიცვა გამოიწვია იმ აუტანელმა ეკონომიურმა და უფლებრივმა პირობებმა, რომლებშიც ბაქოს მუშები იმყოფებოდნენ. 14-15 საათის სამუშაო დღე, მცირე ხელფასი, ათასგვარი ჯარიმები, ცუდი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები, ცარიზმის სატრაპების მიერ მუშების უზომო ჩაგვრა და შევიწროება აიძულებდა მუშებს ბრძოლა ეწარმოებინათ. ეს გაფიცვა შედეგი იყო იმ დიდი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა, რომელსაც საქართველოსა და ამიერკავკასიაში ატარებდა ლენინურ-ისკრული მიმართულების რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ბაქოს მუშების გაფიცვა გულმოდგინედ მოაწყო რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

გაფიცვები დაიწყო 1904 წლის 13 დეკემბერს (ახალი სტილით 26 დეკემბერს). გაფიცვებმა პირველად იფეთქა ხალახანისა და საბუნჩის რაიონებში — როტშილდის, მანთაშევის, ნობელის, მირზოევის ნავთის სარეწებში, ქარხნებში. დღის თორმეტი საათისათვის გაფიცვები მოედო ბიბი-ეიბათს. გაფიცულთა რიცხვი პირველ დღეს 30 ათას კაცს აღემატებოდა.

რსდმპ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით 13 დეკემბერს რაზინის მთასთან მოეწყო მუშათა გრანდიოზული მიტინგი, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მუშაობა შეწყვიტათ ყველა დარგის მუშებს. 14 დეკემბერს გაფიცვები მოედო თითქმის ყველა საწარმოს და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

გაფიცვებმა შიშის ზარი დასცა კაპიტალისტებს და მეფის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფლებს. ცარიზმის სატრაპებმა ბაქოში გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღეს. პოლიცია და გარნიზონის დანაყოფები იცავდნენ რკინიგზის სადგურს, ფოსტა-ტელეგრაფს, ბანკს და სხვა დაწესებულებებს. მთავარმართებლის განკარგულებით თბილისიდან ბაქოში გაიგზავნა კავკასიის პირველი მსროლელი ბრიგადის მეორე და მეოთხე ბატალიონები.

რსდმპ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით 14 დეკემბერს ქალაქგარეთ მოეწყო მიტინგი. დამსწრეთა შორის ფართოდ გავრცელდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის პროკლამაცია „ყველა მუშას!“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ახლა დადგა მტერთან ანგარიშის გასწორების საათი! პირველ ყოვლისა გავაჩაღოთ ბრძოლა ამ ჩვენს მთავარ მტერთან, პირველ ყოვლისა განვაცხადოთ პროტესტი ჩვენი უუფლებობის წინააღმდეგ კრებებზე, ქუჩებში, მოედნებზე, წამოვაყენოთ ჩვენი მთავარი პოლიტიკური მოთხოვნები.

საგუშაგოებზე, წინ. ამხანაგებო! ვებრძოლოთ ახალი ბრწყინვალე მომავლისათვის, ახალი ბედნიერი ცხოვრებისათვის...“

ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი მოუწოდებდა მუშათა კლასს და ყველა მშრომელს მოეთხოვათ ომის შეწყვეტა. მოეთხოვათ დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე და დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება. მიტინგზე გამოსული ორატორები შემდეგი ლოზუნგებით ათავებდნენ თავიანთ სიტყვებს: „ძირს ომი!“, „ძირს მეფის მთავრობა!“, „ძირს ბურჟუაზია“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“, „გაუმარჯოს რუსეთის ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!“.

რსდმპ ბაქოს კომიტეტმა 15 დეკემბერს გამოუშვა მოწოდება სათაურით „ორგანიზაციულად შემჭიდროებული ბაქოს მუშების საერთო მოთხოვნები“, რომელიც შედგებოდა 34 მუხლისაგან. ამ მოთხოვნებით გამოდიოდნენ გაფიცული მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. 17 და 18 დეკემბერს ბალახანაში და ბიბი-ეიბათში მოეწყო მუშათა ხალხმრავალი მიტინგები. 19 დეკემბერს მუშები ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს ბაქოს ქუჩებში, ცდილობდნენ შეერთებასა და დემონსტრაციების მოწყობას, მაგრამ პოლიციელები და კაზაკთა რაზმები ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

მშრომელთა მიტინგები ეწყობოდა 20-21 დეკემბერსაც. მუშებში და ჯარისკაცთა შორის ფართოდ გავრცელდა რსდმპ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის პროკლამაცია „ძმებო სალდათებო!“, რომელიც მოუწოდებდა ჯარისკაცებს არ ესროლათ მუშებისათვის და მხარი დაეჭირათ მშრომელებისათვის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაქოს მუშების საყოველთაო გაფიცვამ შიშის ზარი დასცა კაპიტალისტებს და მათი ინტერესების დამცველებს — თვითმპყრობელობის ადგილობრივ ხელისუფალთ. გაფიცვამ, ნავთის ამოღების შეწყვეტამ უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა არა მარტო კაპიტალისტებს, არამედ სახელმწიფოსაც.

ცარიზმის სატრაპებმა ყოველი ზომები მიიღეს გაფიცვის სალიკვიდაციოდ, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

დარწმუნდნენ რა ორგანიზაციულად შემჭიდროებული მუშების სიმტკიცეში, ნავთის მრეწველები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. მათ თანხმობა განაცხადეს დაეწესებინათ 9½ საათის სამუშაო დღე და ყვირაში ერთი გამოსასვლელი დღე. მაგრამ მოთხოვნების მთელი რიგი მუხლების დაკმაყოფილებისაგან კაპიტალისტები თავს იკავებდნენ. კაპიტალისტების „დათმობებმა“ ვერ დააკმაყოფილა მუშები. ისინი კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვასა და ბრძოლას. 23 დეკემბერს მუშებს სისხლისმღვრელი შეტაკება მოუხდათ კაზაკებთან. ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 10 და დაიჭრა რამდენიმე ათეული მუშა. 24 დეკემბერს კვლავ გამეორდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 5 და დაიჭრა 26 მუშა. კაზაკების მხრიდან მოკვდა ერთი და დაიჭრა რამდენიმე. 25 დეკემბერს მოხდა დახვრეტილ მუშათა დაკრძალვა, რამაც დიდი პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

მუშათა ერთიანობამ გასტეხა კაპიტალისტების ჯიუტობა და აიძულა ისინი დათმობაზე წასულიყვნენ, დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა ყველა ძირითადი მოთხოვნა.

28 დეკემბერს გამოქვეყნდა მუშების მოთხოვნათა პასუხად ნავთის მრეწველთა კომისიის მიერ შემუშავებული პირობები. ამ პირობის თანახმად წესდებოდა 9 საათის სამუშაო დღე, ყვირაში ერთი დასვენების დღე, უქმდებოდა ზედმეტ საათებში და ღამით მუშაობა, მთელ რიგ საწარმოებში უნდა შემოეღოთ სამ ცვლად მუშაობა და გაეზარდათ ხელფასი თვეში 18, 20, 21 და 22 მანეთამდე; დღიურ მუშებს უნდა მისცემოდათ 70-90 კაპიკი, ხოლო შეგირდებს 40 კაპიკი. მუშებს თავაზიანად უნდა მოპყრობოდნენ. ავადმყოფობის დროს მათ ენახებოდათ ნახევარი ხელფასი თვენახევრის განმავლობაში, ხოლო ბინის ფული ეძლეოდათ მთლიანად; ექიმობა და წამლობა დამქირავებლის ხარჯზე უნდა ყოფილიყო. ხელფასი უნდა დარიგებულიყო თვეში ორჯერ სამუშაო საათებში, ფაბრიკა-ქარხნების შენობაში უნდა შეექმნათ ჰიგიენური პირობები და უზრუნველეყოთ გათბობა-განათება.

1904 წლის 31 დეკემბერს ზემოხსენებულ პირობებს ხელი მოაწერეს მუშებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლებმა. ასე დაიდო კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც ი. ბ. სტალინი „მაზუთის კონსტიტუციას“ უწოდებდა. ამრიგად, ბაქოს მუშების ეს კარგად ორგანიზებული გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით, რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის.

კოლექტიური ხელშეკრულების დადების დღეს, 31 დეკემბერს, რსდმპ ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა „გამოუშვა პროკლამაცია სათაურით: „ყველა მუშას!“, რომელშიც მუშათა ძალების გაერთიანება უდავო ჭეშმარიტებად იყო აღიარებული და რომელიც მოუწოდებდა მუშებს მჭიდროდ დარაზმულიყვნენ სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშის ქვეშ კაპიტალისტების და მათი ინტერესების დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქოში მუშათა საყოველთაო გაფიცვის გამარჯვება საინტერესოა იმით, რომ გაფიცვის შედეგად მოპოვებულმა გამარჯვებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშების მატერიალური პირობები. ამასთან გაფიცვის მეოხებით დამყარდა ერთგვარი წესები, რამაც შესაძლებლობა მისცა მუშებს გამოეთქვათ თავიანთი ნება საკუთარი დელეგატების მეშვეობით, შეთანხმებულიყვნენ ნავთის მრეწველებთან და დაემყარებინათ მათთან ურთიერთობა. დეკემბრის გაფიცვამ და მისმა გამარჯვებამ ბაქოს მუშები გადააქცია... „სასაპალნე პირუტყვიდან“ უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლ ადამიანებად!“ (ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 2, გვ. 180).

1904 წლის დეკემბრის გაფიცვის დროს მუშათა გამარჯვებამ ღრმად დაარწმუნა ბაქოს მუშები ერთობისა და სოლიდარული ბრძოლის ძალაში.

ბაქოს მუშების საყოველთაო გაფიცვას და გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთის მუშათა კლასისათვის. ამ გაფიცვას აქტიურად გამოეხმაურა ლენინური „ვპერიოდი“. მასში იბეჭდებოდა ცნობები და წერილები ბაქოს მუშების გაფიცვისა და ბრძოლების შესახებ. გაფიცვას გამოეხმაურნენ რსდმპ პეტერბურგის, მოსკოვის, სამარის, ტვერის,

# კომკავშირის თბილისის საქალაქო კონფერენცია

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXIX კონფერენცია. მომხსენებელმა — კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას იღებს თბილისის კომკავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. დედაქალაქის კომკავშირი უშუალო მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში. კომკავშირის ინიციატივითა და ძალებით აგებულია კეთილშობილი გზა ქალაქიდან „თბილისის ზღვამდე". ქალაქის მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობებზე კომკავშირი მოწინავეთა რიგებშია. 16.000 ახალგაზრდა მუშა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

საკავშირო ალკკ XII ყრილობამ კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა გადაჭრით გააუმჯობესონ იდეოლოგიური მუშაობა, მჭიდროდ დაუკავშირონ პოლიტიკური სწავლება ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს, აღზარდონ ახალგაზრდობა საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ კარგად მოაწყო ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმე, სწორად დააკომპლექტა წრეები და პოლიტსკოლები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროპაგანდისტთა შერჩევას. მაგრამ ყველგან ასე როდია. ცუდად არის დაყენებული კომკავშირელთა პოლიტიკური განათლება მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის, ჩაის გადამწონი ფაბრიკის, არტელ „მკერავთა კომუნის" და მთელ რიგ სხვა კომკავშირულ ორგანიზაციებში.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ლექციური პროპაგანდა, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. კუხიანიძემ თქვა, რომ რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრთა მიზეზით ხშირად იშლება ლექციები.

კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. შარიქაძემ ბევრი ილაპარაკა ქუჩებისა და სახლების კეთილმოწყობაზე, განათებაზე, წყალზე და სხვა; მაგრამ არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რატომ მოისუსტებს რაიონის კომკავშირელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

იმ დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ კომკავშირის წინაშე დააყენა, დიდად არის დამოკიდებული შინაკომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებაზე. უკანასკნელ ხანებში, მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, მთელ რიგ ორგანიზაციებში ცუდად არის მოწყობილი კომკავშირული მუშაობა. სახელმწიფო კონსერვატორიაში თვეობით არ იმართება კომკავშირელთა საერთო კრებები, ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდობის პოლიტიკურ განათლებას. ეს მაგალითი გამონაკლისი როდია. შარშანდელთან შედარებით წელს ცუდად არის დაყენებული კომკავშირში ახალ წევრთა მიღება.

სერიოზული ამოცანები დგას ქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების წინაშე ახალგაზრდა სპეციალისტების მოამზადების, განაწილებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეში. შინაარსიანად მუშაობენ სტუდენტთა სანეცნიერო წრეები და საზოგადოებები, მაგრამ ჯერ კიდევ დაბალია სტუდენტთა აკადემიური წარმატება. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საქართველოს ფიზკულტურისა და რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტებში. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გოშაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა შორის არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორებად გამოყოფილი არ არიან პროფესორ-მასწავლებლები, ხელმძღვანელი კომკავშირული ბუმაკები. სტუდენტებისათვის ნაკლებად იკითხება ლექციები ხალხთა მეგობრობაზე, ლექციებსა და მოხსენებებში ხაზგასმული არ არის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხები.

კომკავშირი მოწოდებულია საბჭოთა სკოლასთან ერთად გადაწყვიტოს მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილური ამოცანა. უნდა ითქვას, რომ ბევრ სკოლაში საინტერესოდ არის ნოწყობილი მოსწავლეთა შორის მუშაობა, მაგრამ მოხსენებიდან და კამათის მონაწილეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ სკოლებში პიონერული საქმიანობა მოწყვეტილია სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას.

კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე და აღნიშნეს, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სუსტი მხარეები უწინარეს ყოვლისა იმით არის განმოწვეული, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად არის დაინტერესებული კომკავშირელთა ცხოვრებით. პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ ისე განიხილავენ საწარმოს მუშაობის საკითხებს, რომ კომკავშირის კომიტეტის მდივანსაც კი არ იძახიან.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო. არჩეულ იქნა საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

* * *

შედგა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. სირაძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. კაჭარავა, მდივნებად ამხ. თ. ბადურაშვილი და ამხ. ს. გამრეკელი.

## ჩინეთის პროფკავშირული დელეგაცია თბილისში

**რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იმ პროფკავშირული დელეგაციის წევრთა ჯგუფმა, რომელიც სტუმრად არის სსრ კავშირში საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.**

**ჩინეთის პროფკავშირულმა მუშაკებმა ინახულეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, სადაც მათ აინტერესებდათ წარმოების ორგანიზაციისა და მუშათა შორის სოციალისტური შეჯიბრების საკითხები, დათვალიერეს კომბინატის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. მათ საუბარი ჰქონდათ ავრეთვე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და პროფკავშირთა მთელი რიგი რესპუბლიკური კომიტეტების მუშაკებთან იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული პროფკავშირული მუშაობა რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში.**

**სტუმრები გაეცნენ თბილისის ლირსშესანიშნავ ადგილებს. ინახულეს ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „ბაღჩისარაის შადრევანი", თბილისის კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ნახეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი „საბჭოთა საქართველო".**

**დელეგაცია გაემგზავრა ქ. გორში, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.**

**24 დეკემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირული მუშაკები თბილისიდან სოჭს გაემგზავრნენ. (საქდინი).**

**სურათზე:** (მარცხნიდან) ჩინეთის დელეგაციის წევრები ფეიქრები ჩე ჟუნ-ფანი, ხან ძიაილი და ლუ თუნ-შენი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## საყურადღებო ინიციატივა

### მუკუზნელ მევენახეთა წერილი შაუმიანელი მევენახეებისადმი

ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. თუ მეხუთე ხუთწლედის დასაწყისისათვის ვენახის ფართობი 165 ჰექტარს შეადგენდა, ახლა 202 ჰექტარია. 1950 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 52 ცენტნერი ყურძელი, 1953 წელს — 70 ცენტნერი, წელს კი ყურძნის მოსავალმა 85 ცენტნერს მიაღწია.

მეურნეობას ჰყავს ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები. მათ შორის სამი სოციალისტური შრომის გმირია, ხოლო 50 კაცი ორდენოსანი და მედალოსანია. სოციალისტური შრომის გმირმა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ, მერკოლურმა ვ. გეთიაშვილმა საშუალოდ ჰექტარზე 133 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად მუკუზნელმა მევენახეებმა გადაწყვიტეს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში მომძე სომხეთის სს რესპუბლიკის შაუმიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებთან.

ამას წინათ მუკუზნელმა მევენახეებმა კრებაზე ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა სომეხი მევენახეებისადმი და იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი.

მუკუზნელმა მევენახეებმა წერილით მიმართეს სომხეთის სს რესპუბლიკის ჰოქტემბერიანის რაიონის შაუმიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებს, რომლებიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი იყვნენ და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების მდიდარი გამოცდილება აქვთ.

ამ წერილის დასასრულს ნათქვამია: „გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გამოწვევა, გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები, გაგვაცნოთ თქვენი გამოცდილება მევენახეობის განვითარებაში, რაც დიდად დაგვეხმარება ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში. მიიღეთ ჩვენი ძმური სალამი და საუკეთესო სურვილები. ველით თქვენს პასუხს".

გურჯაანის რაიონულმა გაზეთმა **„საკოლმეურნეო შრომამ"** 8 დეკემბრის ნომერში ამ საკითხების გაშუქებას თითქმის მთელი ერთი გვერდი დაუთმო.

ქართველ და სომეხ მევენახეთა სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს ყურძნის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

მუკუზნელ მევენახეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა გაიჩაღონ შემოქმედებითი შრომა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# კარგი დამხმარე სახელმძღვანელოდ

ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი ფრიად აქტუალური პრობლემაა. რუსულ ენაზე დღემდე მრავალი შრომაა დაწერილი ნერვული სისტემის ტრავმების შესახებ. მაგრამ ცალკე სახელმძღვანელო, სადაც კომპლექსურად იყოს მოცემული ნერვული სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები, ეტიოპათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, სიმპტომატური და ქირურგიული მკურნალობა, მცირე რაოდენობით მოიპოვება. ქართულ ენაზე კი ამ დარგში ჯერ არც ერთი შრომა არ გამოცემულა. ამ მხრივ ქართული სამედიცინო ლიტერატურისათვის კარგი შენაძენია პროფესორ კ. ჩიქოვანის, პროფესორ ი. მინდაძის და დოცენტ ა. ზოიძის ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელო „ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი", წიგნი პირველი.

ტექნიკის განვითარებასთან, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით იცვლება ტრავმულ დაზიანებათა ხასიათი, ისინი უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდებიან. ომის დროს მიღებული ტრავმა კიდევ უფრო რთული და მრავალსახოვანია. ეს გარემოება მოითხოვს შემოქმედებითს მიდგომას ტრავმულ დაავადებათა არსის გაგებისადმი, დაზიანებული ნერვული სისტემის აღდგენისა და კომპენსაციის საკითხების განხილვას ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შესაბამისად.

ნერვული სისტემის ტრავმები საპრობლემო საკითხი იყო ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა მესამე საკავშირო ყრილობაზე. ეს პრობლემა მრავალი სამეცნიერო დაწესებულების, ფსიქიატრის, ნევროპათოლოგის, ნეიროქირურგის, მორფოლოგის და ფიზიოლოგის კვლევის საგანს წარმოადგენს.

პროფ. კ. ჩიქოვანის, პროფ. ა. მინდაძის და დოც. ა. ზოიძის სახელმძღვანელში აღწერილია თავის ტვინის ტრავმული დაავადებანი.

სარეცენზიო წიგნი სამი ძირითადი თავისაგან შედგება: ქალა-ტვინის დახურული დაზიანებანი, ქალა-ტვინის ღია დაზიანებანი და თავის ტვინის ტრავმულ დაზიანებათა გართულებანი. წიგნის რედაქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ბ. ქავთარაძის წინასიტყვაობაში, ისევე როგორც მთელ შრომაში, ნათლად ჩანს საერთოდ საბჭოთა მედიცინის მიღწევები და კერძოდ მიღწევები დიდი სამამულო ომის პერიოდში. „საბჭოთა ექიმებმა დაჭრილ და დაავადებულ ჯარისკაცთა 70 პროცენტი ფრონტს დაუბრუნეს. სპეციალიზებული ნეიროქირურგიული დახმარების დიდმა გამოცდილებამ სამამულო ომში, როცა პირველად ისტორიაში ეს დახმარება მაქსიმალურად დაუახლოვდა საბრძოლო რაიონს, შექმნა პირობები მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმულიყო წინ ნერვული სისტემის ტრავმულ დაავადებათა შესწავლისა და ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში" (გვ. 3).

სახელმძღვანელოში კარგად არის აღწერილი თავის ტვინის ყოველი ლოკალიზაციის დაზიანება ანატომიურ-ფიზიოლოგიური მონაცემების დართვით, დაზიანების შედეგად განვითარებული პათოლოგიური პროცესის დინამიკა, კლინიკური გამოვლინება, დიაგნოსტიკა, მკურნალობა დაავადების ცალკეულ პერიოდებში ქირურგიული ჩარევის მეთოდებით.

სწორი დებულებაა, რომ „თავის ტვინის რომელიმე უბნის იზოლირებული დაზიანება წარმოუდგენელია. რაიმე ბლაგვი იარაღით, დაცემით ან ჰაეროვანი ტალღით გამოწვეულ ქალა-ტვინის ადგილობრივ დაზიანებას აუცილებლად თან ერთვის ამა თუ იმ ინტენსივობის ტვინის შერყევაც. ამასთანავე, როდესაც დახურული ტრავმის დროს პირველ რიგში კომოციის მოვლენებია გამოხატული, მაშინაც კი თავის ტვინის რომელიმე მიდამო ყოველთვის მეტად ან ნაკლებად არის დაზიანებული" (გვ. 34).

თავის ტვინის ზოგადი და ადგილობრივი მოვლენების, გაღიზიანებისა და დაზიანების ურთიერთობის საკითხები სახელმძღვანელოში განხილულია ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, ნერვული სისტემის პათოლოგიური ფიზიოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის დონეზე.

შრომაში განსაკუთრებით კარგად არის დამუშავებული საკითხები: თავის ტვინის შერყევა და დაქეცილობა (გვ. 5-39), თავის ტვინის ქერქის დაზიანებით განვითარებული ზოგიერთი ნევროპათოლოგიური სინდრომის დიაგნოსტიკური ღირებულება (გვ. 268-284), ტრავმული წარმოშობის თავის ტვინის ამსცესები (გვ. 360-396), ტრავმული ეპილეფსია (გვ. 316-360) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მეტყველების მოშლის ტოპიკურ-დიაგნოსტიკური ღირებულების განსაზღვრისას სარეცენზიო წიგნში შესაფერისად არის დამოწმებული ფ. ენგელსის დებულებანი „ბუნების დიალექტიკიდან" და ი. სტალინის დებულებანი ენის შესახებ მისი შრომიდან „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები".

სავსებით მართებულად არის აღწერილი შრომისა და ენის გავლენა ადამიანის ტვინის ფუნქციების ჩამოყალიბებაში. ავტორები წერენ: „ფ. ენგელსი იხილავს შრომისა და ენის გავლენას ტვინზე, ტვინისა და გრძნობათა ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებას, და ადამიანის ტვინის იმ თვისებებს, რასაც შემდეგში პავლოვმა დიდი ტვინის ქერქის ანალიზური და სინთეზური თვისება უწოდა" (გვ. 279).

სახელმძღვანელოში საკმაოდ მოცემულია ავტორების მიერ უშუალოდ შესწავლილი შემთხვევები და კლინიკური დაკვირვებების ანალიზი დიდი სამამული ომის მასალიდან. ამიტომ შრომაში მოცემულ დებულებათა დიდი ნაწილი ავტორების პირადი დაკვირვების შედეგია, რაც სახელმძღვანელოს ორიგინალურ ხასიათს აძლევს.

წიგნში წარმოდგენილია საკუთარი უახლესი ნეიროლოგიური, ფიზიოლოგიური, რენტგენოლოგიური და მორფოლოგიური გამოკვლევები, როგორიც არის თავის ტვინის ქერქის ელექტროგრამები, პნევმოენცეფალოგრამები, მიკროფოტოგრამები და სხვ.

პროფესორ ა. მინდაძის და დოცენტ ა. ზოიძის მიერ დაწერილია თავის ტვინის ტრავმების ნეიროლოგია, ხოლო ქირურგიული მკურნალობა და თავის ტვინის ტრავმული წარმოშობის ამსცესები ეკუთვნის პროფესორ კ. ჩიქოვანს.

ავტორებს გამოუყენებიათ ვრცელი ლიტერატურული წყაროები. სამწუხაროდ, წიგნს ხოლოს დართული აქვს მხოლოდ ძირითადი ლიტერატურული მაჩვენებელი.

წიგნი თავისუფალი არ არის კორექტურული შეცდომებისაგან, რაც ნაწილობრივ ჩართულ ფურცელშია აღნიშნული. მეორეხარისხოვანი ცნობები ყველგან პატარა ტიპით არ არის აწყობილი და მოცემულია კორპუსით. წინასიტყვაობის შემდეგ წიგნი იწყება ლუწი გვერდიდან, რაც გაფორმების მხრივ მიუღებელია.

მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ ტრავმული წარმოშობის ნევროზების აღწერა ავტორებს განუზრახავთ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, სადაც ზურგის ტვინისა და პერიფერიული ნერვების ტრავმული დაზიანებანი იქნება გადმოცემული. ჩვენი აზრით, ტრავმული ნევროზები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო თავის ტვინის ტრავმულ დაავადებებთან.

სარეცენზიო წიგნში საკითხები განხილულია სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე და გაშუქებულია ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პოზიციებიდან.

ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოს პირველი წიგნი „ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი" ავტორების სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ნევროპათოლოგებს, ფსიქიატრებს, ნეიროქირურგებს და სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებს.

**ი. მენთეშაშვილი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

---

**წერილები დაღისტნიდან**

# 2. სიუხვის სათავეებთან

ისევ ჩოხში ვართ.

კოლმეურნეობის კანტორის ფანჯრიდან მთების დიდებული პანორამა ჩანს, გარეთ ნელნელა თოვს, ოთახში თბილა. სტალინური პრემიის ლაურეატი ომარ პაკალოვი, რომელსაც კრაველის ქუდი ხურავს, ახალი ხალათ-შარვალი და კოხტა ჩექმები აცვია, ახლა ლეგენდას გვიამბობს და თან ქამრის ბალთას ატრიალებს:

— გუდულ! (მეგობარო), აი იმ მთას ჩვენებურად ტურჩი-დაღი ჰქვია. ირანელი ნადირ-შაჰი წყეული იყოს მისი სახელი) ერთხელ თურმე მაგ ადგილს მოადგა და კაცები გამოგზავნა. იმ კაცებმა დაღისტნელებთან ერთი ტომარა ფეტვი მოიტანეს — დაგვენდოთ, თორემ ომდენი ჯარი გვყავს, რამდენიც ტომარაში ფეტვის მარცვლაია.

— ჩვენებურებმა იცოდნენ, რა სისხლისმსმელთან ჰქონდათ საქმე. ნადირ-შაჰმა საქართველოც ხომ აოხრა. მის ხელში ჩავარდნას სიკვდილი სჯობდა. ამიტომ ჩვენებურებმა მამლები გამოიყვანეს და ნადირ-შაჰის გამოგზავნილი ფეტვი დაუყარეს. მალე მამლებმა ფეტვი მთლიანად აკენკეს. თარჯიმანი საჭირო აღარ იყო. დაღისტნელები ამით ირანელ ავაზაკს უთვლიდნენ — მართალია, ბევრი ჯარი მოგიყვანია, მაგრამ ჩვენც კარგი „მამლები" გვყავსო...

— მთელი დაღისტანი ფეხზე დადგა, ქალებიც კი გავიდნენ ბრძოლის ველზე, ირანელებს მეგებ აულთან გაუმართეს თურმე ბრძოლა და მთელი ლაშქარი ამოწყვიტეს. იმ მიდამოებში ახლაც ყრია მათი ძვლები.

ომარი შეჩერდა, შეიძლება მას თანამედროვე აგრესორები მოაგონდა, ამიტომ მუშტი შეკუმშა და მტკიცედ წარმოთქვა:

— ასერია დამპყრობელთა ბედი, ასე მოუვა ყველას, ვინც თავის ღორულ დინგს ჩვენს ბოსტანში შემოყოფს.

საუბარი რუსულ ენაზე წარმოეზდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისლამ ისლამოვმა ომარი შეაქო:

— ყოჩაღ! რუსულად ჩვენი სკოლის დირექტორივით ლაპარაკობ.

— გუდულ! მოსკოვი დამეხმარა ენის შესწავლაში, სამ თვეზე მეტი მოსკოვში — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გავატარე. ვინ მოთვლის, რა ეროვნების კაცი არ ვნახე და ყველას რუსულად ეუბნებოდი როგორ გამოვიყვანეთ ცხვრისა და ძროხის ახალი ჯიშები, როგორ ვცხოვრობთ მთაში...

— შარშანდელი ზამთრის ამბავს კი არ მოუყევი? — შეეკითხა ისლამოვი.

ომარი ჩაფიქრდა.

მას შემდეგ აგერ ერთი წელიწადი გავიდა. ამიტომ პაკალოვს ზუსტად არ ახსოვს რამდენი დღე და ღამე გაგრძელდა ქარიშხალი, ისე კი ახლაც თვალწინ უდგას კასპიის ზღვის უზარმაზარი ტალღები, ტყვიისფერი ღრუბლები და ნაადრევად მოსული თოვლი, რომელმაც მთელი კასპიისპირეთი დაფარა.

— მწყემსი ყოველნაირ ამინდს გაუძლებს, მაგრამ ინაზე უარესი არაფერია, როცა ბალახს ყინული გადაეფარება. თუ ამან მოუმზადებელს მოგასწრო, სახლში მარტო კომბლით დაბრუნდები, — თქვა ომარმა.

ჩოხელები მარტო კომბლებით როდი დაბრუნდნენ საზამთრო საძოვრებიდან მშობლიურ აულში, მათ დაძლიეს ბუნების სტიქიის შედეგად გამოწვეული სიძნელეები. ომარ პაკალოვს, ალი მანსუროვს, ბიზუმაჰმედ იხახოვს, მაჰმედ ალიევს, ალიგლიჩ ტახნაევს არცერთი ცხვარი არ დაუკარგავთ.

ამაში დიდი როლი შეასრულა საზამთრო საძოვრებზე წინასწარ ჩატარებულმა სამზადისმა. საერთოდ ჩოხელები კასპიისპირეთში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, ყველა კოლმეურნეობას იქ კეთილმოწყობილი ბინები აქვს როგორც მწყემსთათვის, ისე ცხვრის მთელი სულადობისათვის. ზოგიერთ მეცხოველეს კასპიისპირეთში ოჯახი მიჰყავს, ყველას ეძლევა საკუთარი ოთახი, მოზამთრეთა განკარგულებაშია რადიო, წიგნი, გაზეთი.

კოლმეურნეთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ცხვრის ახალი ჯიშის — „დაღისტნური მთის" გამოყვანა. ამ მაგალითში კარგად ჩანს არა მარტო მეცნიერ მუშაკთა და კოლმეურნეთა მეგობრობა, არამედ ხალხთა ძმური თანამშრომლობაც. დაღისტნის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელი, უკრაინელი ვლადიმერ ბლიზნიჩენკო დიდი ხნის განმავლობაში უშუალოდ მაღალმთიან ჩოხში დაღისტნელ მწყემსებთან ერთად აწარმოებდა შემოქმედებითს მუშაობას. ამან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

ახალი ჯიშის ცხვარი მკვრივი აგებულებისაა, კარგად არის შეგუებული მომთაბარეობის რთულ პირობებს, ადვილად იტანს ხანგრძლივ მგზავრობას, იძლევა გაცილებით მეტ ხორცს, ვიდრე ადგილობრივი ცხვარი და, რაც მთავარია, მას აქვს მეტი და მაღალხარისხოვანი მატყლი.

ჩვენ ვნახეთ ამ მატყლისაგან მოქსოვილი ბოსტონი, შევიოტი, ტრიკო. უკეთესს ვერ ინატრებ, ქსოვილი მსუბუქი, რბილი და გამძლეა. იმ ფაბრიკის მუშებმა, სადაც ახალი ჯიშის ცხვრის მატყლი გადამუშავეს, ჩოხელებს გულთბილი წერილი მოსწერეს:

— თქვენ მიერ გამოგზავნილი მატყლი ტექნოლოგიურად საუკეთესოა და სრულიად ვარგისია ძვირფასი ქსოვილებისათვისო.

ახალი ჯიშის ცხვრის გამოყვანისათვის უფროს მწყემსს ომარ პაკალოვს და მეცნიერ თანამშრომელს ვლადიმერ ბლიზნიჩენკოს სტალინური პრემია მიენიჭათ.

ქართველ მეცხვარეებს ბევრი ძვირფასი რამის შესწავლა შეუძლიათ თავიანთი დაღისტნელი მეგობრებისაგან. ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ცხვრის წელიერი კვება. ჩოხელები მატყლის ნორმალური ზრდისა და პირუტყვის გასუქებისათვის საზამთრო საძოვრებზე ფართოდ იყენებენ სადღეღამისო ძოვებას, ამას გარდა, ცხვარს დამატებით აძლევენ თივას და კონცენტრირებულ საკვებს, მწყემსებმა კარგად იციან, თუ როგორია სხვადასხვა ბალახის ყუათიანობა.

ჩოხელებს შემუშავებული აქვთ ბატკნების კვებისა და გაზრდის საკუთარი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით მინიმუმამდეა დაყვანილი ბოზარდეულის სიკვდილიანობა. თუ 1951 წელს თვითეულ 100 დედაცხვარზე ასხლტამდე შენარჩუნებული იყო 100 ბატკანი, მიმდინარე წელს საჯიშე ფერმაში ყოველ 100 დედაცხვარზე ასხლტამდე შენარჩუნებულია 130 ბატკანი.

ჩოხის კოლმეურნეობას მაღალპროდუქტიული ცხვრის ინკუბატორს ეძახიან, აქ ყოველწლიურად ზრდიან ათასობით ბატკანს, რომლებსაც რესპუბლიკის სხვადასხვა კოლმეურნეობები იძენენ. საერთოდ ახალი ჯიშის ცხვარი სწრაფად ვრცელდება და დაღისტანში ცხვრის მთელი სულადობის 47 პროცენტს შეადგენს.

ჯიშიანობის გაუმჯობესების შედეგად კოლმეურნეობა დიდ შემოსავალს იღებს. მარტო მატყლის გაყიდვით შარშან ჩოხელებს ორი მილიონი მანეთი შეემატათ. გარდა ამისა, მატყლის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის სახით ასეულ ათასობით მანეთი, ასობით ტონა ფურაჟი და 10 სატვრთო ავტომანქანა მიიღეს.

შემოსავალი თანდათანობით მატულობს. კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით წელს სახელმწიფოს 10 ტონით მეტი ნაზი და ნახევრადნაზი მატყლი ჩააბარა.

ჩოხის კოლმეურნეობა სხვა რამითაც არის განთქმული. აქვე გამოიყვანეს მერძეული საქონლის ახალი ჯიში „დაღისტნური ლეგა". ამ საქმის სათავეშია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ს. გუსეინოვი. მას დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისლამ ისლამოვმა.

ამ ჯიშის ძროხა წონით 350-400 კილოგრამია, წელიწადში იძლევა 1.400-1.500 კილოგრამ რძეს, კარგად ეგუება მთის პირობებს.

საუკუნეობით დაჩაგრული იყო მთიელი ქალი. მაგრამ ქალის ისეთი დამცირება, ცხოვრების ისეთი ჯოჯოხეთური პირობები ქალისათვის არსად არ ყოფილა, როგორც ისლამის ფანატიზმით გაბრუებულ ქვეყანაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქალი ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ აქცია. დაღისტნელი ქალები კულტურული და ბედნიერი ცხოვრების ნათელ გზას დაადგნენ.

ჩოხი ამაყობს თავისი მოწინავე ქალებით. რატომაც არ უნდა ამაყობდეს, როცა სალამატ ახმედოვამ და ფატიმატ ზაქარიევამ თვითეულ ძროხას წელს ორი ათასზე მეტი ლიტრი რძე მოსწველეს. კოლმეურნეობის ძროხების თვრამეტმა მწველამ ქალმა თვითეულ საფუძველზე ათასსუთასიდან ორი ათასამდე ლიტრი რძე მიიღო, ხოლო ცალკეული ძროხებისაგან — სამი ათასზე მეტი.

პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის კოლმეურნეობაში უკანასკნელ ხანს ძირხვენებისა და სხვადასხვა ბალახების თესვა დაიწყეს. როგორც საზამთრო საძოვრებზე, ისე მთაში ჩოხელებს მოჰყავთ ჭვავი, სიმინდი, ჭარხალი. კოლმეურნეობაში წარმატებით ვითარდება მეფაღლეობა და მეგაღლეობა. ჩოხელებმა ქასპიისპირეთში ვენახის გაშენებაც კი დაიწყეს.

— წელს გვინდოდა ღვინო დაგვეყენებინა, მაგრამ ძალიან გამოუცდელები ვართ, ალბათ ქართველები დაგვეხმარებიან, რათა ჩვენც გვქონდეს საკუთარი ყურძნის ღვინო, — თქვა ამხ. ისლამოვმა.

დაღისტნელი მეგობრები დიდ ყურადღებას აქცევენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. ცხვრის ელექტროპარსვის ინიციატორები არიან ჩოხელები, რომლებმაც ეს ღონისძიება ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ განახორციელეს.

დაღისტნელი მეგობრები ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.

— რა ამოცანა დგას კოლმეურნეობის წინაშე მომავალ წელს?

ამის პასუხს ყველა მოგცემთ. აგერ ომარ პაკალოვმა ხელები მოიმარჯვა და თითებზე დაიწყო ჩამოთვლა:

— პირველი — მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, მეორე — ცხვრებისა და ძროხების ჯიშიანობის შემდგომი გაუმჯობესება. მესამე — ყველა ფერმაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვა... ერთი სიტყვით, თუ ამას გავაკეთებთ, უფრო სწრაფად წავალთ სიუხვისაკენ. ჩვენი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

**თ. კუნჭულია, ა. თოდუაძე,**
**„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.**

**ბ. ჯაველიძე,**
**დუშეთის რაიონული გაზეთის „სტალინური გზით" რედაქტორი.**



**დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის სოფელ ჩოხის საერთო ხედი.**

## ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელის, ბ. რომეროს და ინგლისის ელჩის ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ამ ბოლო დროს ვაშინგტონში სსრ კავშირის საელჩოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის წარმოებდა მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნის შესაბამისად, შეერთებულ შტატებს გადაეცეთ სამხედრო-საზღვაო გემები (უმთავრესად ტორპედიანი კატერები და სადესანტო გემები), რომლებიც საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის წლებში მიიღო ლენდ-ლიზით. ამ გემების დაბრუნების საკითხი ნაწილია საერთო საკითხისა ლენდ-ლიზით ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ.

ა. წ. 22 დეკემბერს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს 1955 წლის იანვარ-ივლისში იაპონიის ნავსადგურ მაიძურუში გადაეცეს 27 სამხედრო-საზღვაო გემი, რომლებიც წყნარ ოკეანეშია.

## ბერტოლდ ბრეხტის განცხადება მისთვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით

ბერლინი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანელმა პოეტმა და დრამატურგმა ბერტოლდ ბრეხტმა განცხადებაში იმასთან დაკავშირებით, რომ მას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1954 წლის საერთაშორისო სტალინური პრემია, კერძოდ, თქვა:

ეს პრემია ყველაზე მაღალ ჯილდოდ მიმაჩნია. რაც უნდა ჩაგონონ ბალზეს, მათ იციან: მშვიდობა მთელი ჰუმანური საქმიანობის, ყოველგვარი შრომის, ყოველგვარი ხელოვნების, მათ შორის ცხოვრების ხელოვნების თავი და ბოლოა.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების დამის სხდომა მეტად დაძაბულ ვითარებაში გრძელდებოდა დილის 8 საათამდე ადგილობრივი დროით (10 საათამდე მოსკოვის დროით). საერთო დისკუსიის დამთავრების შემდეგ, რომლის დროსაც მთელმა რიგმა ორატორებმა, კერძოდ პროგრესულმა რესპუბლიკელმა პიერ კოტმა, მკვეთრად გააკრიტიკეს პარიზის შეთანხმებანი, დაიწყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა.

კენჭისსაყრელად დასვეს კანონპროექტის პირველი მუხლი, რომლის თანახმად პრეზიდენტს ნება ეძლევა დაამტკიცოს ბრიუსელის პაქტის დამატებითი ოქმი, აგრეთვე ოქმები „დასავლეთ ევროპის კავშირის“ ქვეყნების შეიარაღებული ძალების, შეიარაღებისადმი კონტროლისა და „ევროპის შეიარაღების გაერთიანების“ შექმნის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მუხლი ეხება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას და ბრიუსელის კავშირში მის შეყვანას. ეს მუხლი უარყვეს 280 ხმით 259 ხმის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ მთავრობის მეთაურმა, რომელიც დაუსრულებლად მოუწოდებდა დეპუტატებს დაეცვათ „დეპუტატის ღირსება“ და დაეფიქრებინათ მოიფიქრონ მოეწონებინათ პარიზის შეთანხმებანი, მოითხოვა, რომ კანონპროექტის პირველი მუხლი კვლავ განიხილონ მეორე წაკითხვით. ამავე დროს მან დააყენა ნდობის საკითხი კანონპროექტის ორი შემდეგი მუხლის შესახებ: ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში დასავლეთ გერმანიის შეყვანისა და საოკუპაციო რეჟიმის შეწყვეტის შესახებ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ პირველი მუხლის გამოც დასვამს ნდობის საკითხს.

საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დანიელ მეიერმა დისკუსიის მსვლელობაში მოითხოვა გამოეცხადებინათ სხდომის შეწყვეტა, რათა შეესწავლათ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტისადმი დამატებითი მუხლების სახით შეტანილი შესწორებანი. მაგრამ ამ წინადადების წინააღმდეგ მკვეთრად გაილაშქრა მენდეს-ფრანსმა, მოუხედავად კომუნისტი დეპუტატის ბალანეს და რადიკალ დალადიეს პროტესტისა, რომლებმაც განაცხადეს, ეროვნული კრება „სერიოზულ ვითარებაში“ უნდა მუშაობდესო. ბევრმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ ეროვნული კრების სხდომა ამით დამთავრებულიყო.

მაგრამ მენდეს-ფრანსმა მიაღწია იმას, რომ გაგრძელდა სხდომა, რომელიც ერთი საათის შესვენების შემდეგ დაიწყო დილის შვიდ საათზე ადგილობრივი დროით. მენდეს-ფრანსმა სხდომის გახსნისთანავე კვლავ დასვა ნდობის საკითხი სამი წინადადების გამო:

1. გასტონ პალეფსკის იმ შესწორების დამტკიცებისათვის, რომ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდეს ერთსა და იმავე დროს პარიზის შეთანხმებათა ყველა კონვენციის გამო,

2. პალეფსკის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომ პარიზის შეთანხმებათა შესრულების გადა გადაიდოს 1955 წლის 1 დეკემბრამდე,

3. ლუსტანო-ლაკოს იმ შესწორების წინააღმდეგ, რომ პარიზის შეთანხმებანი ძალაში შევიდეს მას შემდეგ, რაც მონაწილე ქვეყნები ხელს მოაწერენ ოქმს ამ შეთანხმებათა ზუსტად შესრულების შესახებ. ამრიგად, მთავრობის თავმჯდომარემ ნდობის საკითხი დასვა ხუთ შემთხვევაში.

შემდეგ დაიწყო კენჭისყრა იზორნის მოხსენების გამო იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიაში შეწყდეს საოკუპაციო რეჟიმი და ამის შესაბამისად შეიცვალოს ბონის შეთანხმებანი. იზორნის მოხსენება მთლიანად მოიწონეს 380 ხმით 180 ხმის წინააღმდეგ. ეროვნულმა კრებამ მოიწონა აგრეთვე ვანდრუს მოხსენება იმაზე, რომ დამტკიცდეს საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებანი საარის შესახებ. რატიფიკაციას ხმა მისცა 368 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 145 დეპუტატმა.

მთავრობისადმი ნდობის საკითხისათვის კენჭისყრა დანიშნულია 27 დეკემბერს. ეროვნული კრების სხდომა დამთავრდა დაახლოებით დილის 8 საათზე.

## ვაშინგტონში მზადდება ახალი ზეგავლენა საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ოფიციალურ წყაროებს, იუწყება, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „შეაშფოთა“ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში კენჭისყრის შედეგმა.

თეთრი სახლის მდივანშმა პრესის საკითხებში ჰეგერტიმ განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი დალესი ტელეფონით მოუთათბირა პრეზიდენტს „ამ დაძაბული მდგომარეობის“ შესახებ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დალესმა სთხოვა ინგლისის ელჩს ვაშინგტონში მეიკინზს შეხვედროდა მას და რომ მეიკინზი შინ ეწვია სახელმწიფო მდივანს.

## «ბლანკის უწყების» დასავლეთ ბერლინის დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის იაკობ კოლბის განცხადება

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა „ბლანკის უწყების“ დასავლეთ ბერლინის დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის დასავლეთ ბერლინიდან გადმოსულ იაკობ კოლბის განცხადება.

დასავლეთ გერმანიის პრესაში, განაცხადა კოლბმა, მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, თუ რა გარემოებებში გადმოვედით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ბლანკის უწყების“ დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ფრიდრიხ ჰაინცი და მე. ვერსია, რომელიც ჰაინცმა აცნობა დასავლეთ ბერლინის პოლიციის ხელისუფლებს, არ შეესაბამება ფაქტებს. ფაქტიურად საქმე შემდეგნაირად იყო:

15 წლის განმავლობაში მე და ჰაინცი დიდი მეგობრები ვიყავით. ჩვენს შორის არავითარი საიდუმლოება არ არსებობდა. მე ჰაინცი მიმაჩნდა არა მარტო ჩემს უფროსად, არამედ აგრეთვე ძველ ამხანაგად, რომლის გავლენა ჩემზე იქამდე მიდიოდა, რომ ჩემი ოპოზიცია ადენაუერის პოლიტიკისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა.

როცა ჩვენი ოპოზიციური განწყობილება შეამჩნიეს, დაგვიწყეს დევნა. ჩვენ სამსახურიდან დაგვითხოვეს. მიმდინარე წლის ნოემბერში ჰაინცს ექვსი თვის პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო ჩემს წინააღმდეგ დაიწყეს შეთხზული სისხლის სამართლის საქმე. ამის გამო ჩვენ მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება გადმოვსულიყავით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. შევუთანხმდით რა ერთმანეთს, ჩვენ 16 დეკემბერს გადმოვედით ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში და ვიშუამდგომლეთ სათანადო ხელისუფალთა წინაშე, რომ მოეცათ ჩვენთვის თავშესაფრის უფლება.

მაშინ როცა მე ეს უფლება მომანიჭეს, ჰაინცს უარი უთხრეს. დასავლეთ ბერლინის პრესის ცრუ ცნობები მაიძულებენ საჯაროდ განვაცხადო, ჯერ ერთი, ვინ ვარ მე, და მეორე, რა მიზეზით გავწყვიტე კავშირი ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასთან.

მე, იაკობ კოლბი, 33 წლისა, 1950 წლიდან ვიყავი „ბლანკის უწყების“ დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი დასავლეთ ბერლინში.

ამ ორგანიზაციის ამოცანას შეადგენდა საგენტურო ქსელის შექმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო და ეკონომიური ხასიათის ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად. ეს დავალება მე მივიღე 1950 წლის ზაფხულში ანალდელი „ბლანკის უწყების“ მაშინდელი ხელმძღვანელის გენერალ შვერინისაგან, ხოლო მისი წასვლის შემდეგ — თვით ბლანკის:გან.

ჩემი დაზვერვითი საქმიანობის მეოხებით მე ვხვდებოდი ბლანკის ორგანიზაციის თანამშრომელთა სხვადასხვა წრეს. სწორედ ამიტომ მე განსაკუთრებით კარგად ვიცი როგორც ფედერალური მთავრობის გეგმები რემილიტარიზაციის შესახებ, ისე ამ გეგმების განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებებიც. მალე დავრწმუნდი, რომ ადენაუერის მთავრობის საიმარი მზადება მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის გერმანელ ხალხს და სამუდამოდ გამორიცხავს გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას.

რათა საზოგადოებრიობა დაარწმუნოს, რომ საჭიროა რემილიტარიზაცია, და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის მისაღები გახადოს გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნა, ადენაუერის მთავრობა მათი მოტყუების მიზნით სხვადასხვა მანევრს მიმართავს.

„ბლანკის უწყების“ პასუხისმგებელმა მუშაკებმა თვითონ ძალიან კარგად იციან, რომ აღმოსავლეთიდან ომის საფრთხე არავის ემუქრება, მაგრამ ისინი შეგნებულად ცდილობენ შეინარჩუნონ აღმოსავლეთიდან ომის საფრთხის აჩრდილი. ამიტომ საბჭოთა ჯარის ნაწილების რაოდენობის შესახებ სააგენტურო ცნობებს, რომლებსაც „ბლანკის უწყება“ იღებს ბერლინის განყოფილებიდან, ისე ცვლიდნენ, რომ ამ ნაწილების რაოდენობა ძალიან დიდდებოდა, და ასეთი სახით გადასცა ეს ცნობები ადენაუერის მთავრობამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ფედერალური რესპუბლიკის რემილიტარიზაციის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების დროს.

მე, როგორც დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელს ბერლინში, არაერთხელ მიმიღია საყვედური ომის გამო, რომ ჩემი ცნობები, რომლებიც ფაქტებს შეესაბამებოდა, მოწმობდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემცირებას გერმანიაში. ეს განსაკუთრებით აჯავრებდა გენერალ ჰოიზინგერს.

მაგალითად, 1952 წელს მე მომთხოვეს დამედასტურებინა ცნობები, რომელთა თანახმად რუსეთის რამდენიმე დივიზია თითქოს პოლონეთით და ჩეხოსლოვაკიით გადაიყვანეს ტიურინგიაში, ზონალურ საზღვართან. როცა ეს ინფორმაცია შევამოწმე და ვაცნობე, რომ იგი არ შეესაბამება ფაქტებს, დამიწვიეს ბონში. ჰოიზინგერმა აღშფოთება გამოთქვა ჩემი საქციელის გამო და მოითხოვა, რომ ეს ცნობები, ყოველ შემთხვევაში, დამედასტურებინა.

მაშინ მე გავიგე, რომ მსგავს ფალსიფიცირებულ ცნობებს „მოულობდნენ“ დასავლეთ გერმანიის სხვა დაზვერვის სამსახურებიც.

ამრიგად, გელენის ორგანიზაცია და „ბლანკის უწყების“ დაზვერვის სამსახური, იყენებდნენ რა მეორე მსოფლიო ომის დროის ძველ ცნობებს, შეგნებულად აწვდიდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს ყალბ ცნობებს საბჭოთა კავშირის ჯარების რიცხვისა და შეიარაღების შესახებ.

ამ ყალბ ცნობებს დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები და პრესა იყენებდნენ და იყენებენ იმისათვის, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობა დაშინონ ვითომდა აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი ომის საფრთხით.

ამ და სხვა სახის მოტყუების საშუალებით ფედერალურმა მთავრობამ შეძლო დაედო შეთანხმება 12 დივიზიის შექმნის შესახებ. ეს ყველამ იცის, მაგრამ არ არის ცნობილი ადენაუერის მთავრობის ნამდვილი გეგმები მომავლისათვის. „ბლანკის უწყების“ დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ თანამშრომლებთან, მაგალითად, პოლკოვნიკ კირშთან და მაიორ ოსტერთან საუბრიდან მე დავასკვენი, რომ „ბლანკის უწყების“ მუშაობასა და გეგმებში 12 დივიზია მხოლოდ საფუძველია შეიარაღებული ძალების შემდგომი გადიდებისათვის უახლოეს მომავალში.

„ბლანკის უწყებამ“ აღრიცხვაზე აიყვანა უკვე 14 ასაკის კონტინგენტები, კერძოდ 16-დან 30 წლამდე, საერთო ანგარიშით გასაწვევი ასაკის 3 მილიონზე მეტი კაცი.

ბევრი რამ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს განზრახული აქვთ ახალი შეიარაღებული ძალები გამოიყენონ არა მარტო აღმოსავლეთის წინააღმდეგ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთის წინააღმდეგაც.

ამ მიზეზით კვლავ განახლდა დაზვერვითი საქმიანობა საფრანგეთის, ბენილუქსის ქვეყნების, იტალიის, ავსტრიის, იუგოსლავიის წინააღმდეგ. „ბლანკის უწყების“ მუშაკთათვის საიდუმლოებას როდი, შეადგენს ის, რომ სამსახურიდან გადამდგარი გენერლის შაიდელის ჯგუფის თანამშრომლები, რომლებიც დიდხანს იყვნენ პარიზში, დაზვერვითს საქმიანობას ეწეოდნენ. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გელენის ორგანიზაციის თანამშრომელი პოლკოვნიკი ვესელი, რომელსაც, ამავე დროს, ოფიციალურად „ბლანკის უწყების“ წარმომადგენლად ასაღებენ.

„ბლანკის უწყების“ სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობა, რომელიც სამხრეთ ევროპის წინააღმდეგ მუშაობს, მიუხედავად იმისა, ოფიციალურად „ბლანკის უწყებაა“ და დაქვემდებარებულია ბონის ხელისუფლებისადმი, ანგარიშს ანგებს ბონის ხელისუფლებისადმი, ანგარიშს ანგებს ბონის ხელისუფლებისადმი, ანგარიშს ანგებს